შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

09. 12. 2014 წ.

# საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ჩიხი სამგორი №3ა (ნაკვეთი 3/59), საკადასტრო კოდით №01.17.12.003.059 შპს "ენენქეი"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ერთ სართულიანი შენობის დემონტაჟის პერიოდში ზეგავლენის შესაძლებლობა მომიჯნავე და არსებულ ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების მიმართ

თბილისი

2014 წელი



## შინაარსი

ქ.თბილისი, ჩიხი სამგორი №3ა (ნაკვეთი 3/59), შპს "ენენქვი"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა ერთ სართულიან შენობაზე (საკ. ნუმერაციით 1/1) დემონტაჟის პერიოდში ზეგავლენის შესაძლებლობაზე არსებულ და მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული შეობების მიმართ. სადემონტაჟო შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. საძირკველი ლენტური ტიპისაა,

2. მზიდ კონსტრუქციულ სქემას წარმოდგენს სტანდარტული წვრილმარცვლოვანი ბლოკის კედლების წყობა

3. კედლების თავზე მოწყობილია რკინა-ბეტონის სეისმური სარტყელი,

4. გადახურვა ხის ნივნივებითა და კოჭებით არის შესრულებული

სადემონტაჟო შენობას მომიჯნავე ნაკვეთიდან არ ესაზღვრება შენობა, მოწყობილია მხოლოდ უკნაა მხარე 2-2 ღერძებზე გამყოფი კედელი, რომლის იქით მხოლოდ ცარიელა ტერიტორიაა, თუმცა საკადასტრო ნუმერაციით 2/2 შენობას ესაზღვრება მომიჯნავე ნეკვეთზე მცირე ზომის ნაგებობა, რომელიც აბსოლიტურად გამოყოფილია სადემონტაჟო შენობისაგან საკმარისი მანძილით. აქედან გამომდინარე სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში სამეზობლო მიჯნაზე არსებულ შენობების მიმართ ზეგავლენა არ ექნება.

რაც შეეხება არსებულ საზღვრებში განთავსებულ შენობებს ( საკ. ნუმერაციით 2/2) მათ არ გააჩნია საერთო კედელი და შესაბამისად დემონტაჟის პერიოდში ზეგავლენის გადაცემა შეუძლებელია, ასევე იმ გარემო პირობებიდან რომ შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ხელით და დამხმარე ინსტრუმენტებით.

ჩვენს მიერ შესწავლილი შპს "ენენქვი"-ის კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ზემოთ ხსენებული შენობის სადემონტაჟო სამუშაოები დასაშვებია და არ გამოიწვევს მომიჯნავე სამეზობლო საზღვრებში და არსებული ტერიტყორიაზე ზემოთ ხსენებული შენობის მიმართ ზეგავლენას. სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია ხელით და დამხმარე ხელის ინსტრუმენტებით (პერფერატორით). სამუშაოები თანმიმდევრობის მიხედვით უნდა განხორციელდეს სახურავიდან, რის შემდგომ მოხდება კედლების დემონტაჟი და საბოლოოდ საძირკვლის დემონტაჟი და სამშენებლო ნაგვის გატანა ტერიტორიიდან.

**დირექტორი:** ა. ყურაშვილი

**კონსტრუქტორ-ექსპერტი:**